

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი  
რესურსების კომისიის სხდომის

ოქთი N 6

ქ. თელავი

2019 წლის 17 აპრილი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: დავით ღალანიძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი ჩაბრაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი,  
გოჩა წაწალაშვილი, ბესიკ ქოჩიშვილი, ვასილ  
არაბული, ალექსანდრე კუპატაძე, არჩილ  
თვალიაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი,  
საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების,  
ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში  
მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე, თელავის  
მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი  
მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა  
დაცვის სამსახურის უფროსი ნუგზარ ბაჩიაშვილი,  
ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის,  
არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის სივრცითი  
მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების  
უფროსი მალხაზ ბალუაშვილი, მოქალაქე მაკა მოსიაშვილი.

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

- ქ. თელავში ქართული უნივერსიტეტის ქუჩის ნაწილისათვის (აღმოსავლეთით, კვირიკე დიდის შესართავიდან ილია ჭავჭავაძის გამზირამდე აღნიშნული მოიცავს 1700 მ.) დიმიტრი გიორგელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხს. დ. ღალანიძე

- მოისმინეს:
- ქ. თელავში ქართული უნივერსიტეტის ქუჩის ნაწილისათვის (აღმოსავლეთით, კვირიკე დიდის შესართავიდან ილია ჭავჭავაძის გამზირამდე აღნიშნული ნაწილი მოიცავს 1700 მ.) დიმიტრი გიორგელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დავით ღალანიძემ აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინა ამავე საკრებულოს წევრისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიგა ორკოდაშვილის ინიციატივა, ქ. თელავში ქართული უნივერსიტეტის ქუჩის ნაწილისათვის (აღმოსავლეთით, კვირიკე დიდის შესართავიდან ილია ჭავჭავაძის გამზირამდე აღნიშნული ნაწილი მოიცავს 1700 მ.) თელაველი ექიმის დიმიტრი გიორგელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ. აღნიშნული ინიციატივა დაეწერა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიას. კომისიამ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N 239 დადგენილების შესაბამისად მოსახლეობასთან კონსულტაციის მიზნით ინიციატივა რეგისტრაციიდან 10 სამუშაო დღეში გამოაქვეყნა საჯარო. მოსახლეობასთან კონსულტაციები გაიმართა საჯარო განხილვის ფორმით სადაც აღინიშნა, რომ დიმიტრი გიორგელაშვილი იყო ერთ-ერთი წარმატებული ექიმი, თავის პროფესიაზე და ქალაქზე უზომოდ

შეყვარებული კაცი, ასევე ქალაქის საზოგადოების რჩეული და  
პატივსაცემი პიროვნება.

საკითხის საჯარო განხილვისას მოსახლეობის მხრიდან  
მოწონებული იქნა ინიციატივა ქ. თელავში, ქართული  
უნივერსიტეტის ქუჩის ნაწილისათვის, (აღმოსავლეთით, კვირიკე  
დიდის შესართავიდან ილია ჭავჭავაძის გამზირამდე აღნიშნული  
ნაწილი მოიცავს 1700 მ.) თელაველი ექიმის დიმიტრი  
გიორგელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

გადაწყვიტეს:

მოწონებული იქნას ინიციატივა ქ. თელავში, ქართული  
უნივერსიტეტის ქუჩის ნაწილისათვის (აღმოსავლეთით, კვირიკე  
დიდის შესართავიდან ილია ჭავჭავაძის გამზირამდე აღნიშნული  
ნაწილი მოიცავს 1700 მ.) დიმიტრი გიორგელაშვილის სახელის  
მინიჭების შესახებ.

კომისიამ შეიმუშაოს დადებითი დასკვნა აღნიშნულ საკითხთან  
დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარე

დავით ღალანიძე